სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები,
ჰუმანიტარულ და სოციალურ-პოლიტიკურ მეცნიერებათა სერია,
Proceedings of Sokhumi State University,
Humanities and Socio-Political Sciences Series, ტომი/ Vol. XX, 2022 წელი

ია ჯიჭონაია[1]
სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი
https://doi.org/10.52340/sou.2022.20.15

საქართველო-ჩრდილოეთ კავკასიის ურთიერთობების ისტორიიდან XI საუკუნეში[2]

აბსტრაქტი. XI საუკუნის დასაწყისისთვის ფეოდალური საქართველო პოლიტიკურად ერთიანი სახელმწიფოა და სოციალურ-ეკონომიკური თვალსაზრისით განვითარების ახალ საფეხურზე დგას. XI საუკუნის 30-50-იან წლებში საქართველოს სახელმწიფოს წინაშე შემდეგი საგარეო-პოლიტიკური ამოცანები დგას: ბიზანტიის იმპერიის დამორჩილებისგან თავის დაღწევა და ეროვნული სუვერენიტეტის მოპოვება. პოზიციების განმტკიცება კავკასიაში და მოკავშირეების მოძიება. საქართველოს ერთ-ერთ ასეთ მოკავშირედ ითვლებოდა ოვსეთის სამეფო. ამ დროისთვის ოვსეთის სამეფოს პოლიტიკური წონა გაორმაგდა. X საუკუნეში ჩამოყალიბებული ოვსეთის მძლავრი სამეფო მაშინვე იქცა აქტიურ სამხედრო-პოლიტიკურ ძალად მთელს კავკასიაში, რომელიც ანგარიშვალდებული იყო მეზობელი სახელმწიფოების, მათ შორის ბიზანტიის იმპერიის წინაშე. XI საუკუნეში ქართველი მეფეები გიორგი I და ბაგრატ IV დინასტიური ქორწინების გზით ცდილობდნენ სამხედრო-პოლიტიკური კავშირის დამყარებას ოვსეთის სამეფოსთან და მის ანტიბიზანტიურ კოალიციაში შეყვანას.

საკვანძო სიტყვები: საქართველო, ჩრდილოეთ კავკასია, XI საუკუნე, სოციალ-ეკონომიკური, პოლიტიკური, ურთიერთობები.

---

[1] **ია ჯიჭონაია**, ისტორიის დოქტორი, სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი.

[2] მოხსენება წარმოდგენილი იყო სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის მიერ ორგანიზებულ მეორე საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციაზე *„აფხაზეთის კულტურული ფასეულობანი: ენა, ლიტერატურა, ისტორია, სოციალური მეცნიერებანი, კულტურის ძეგლები“,* რომელიც აკადემიკოს მარიამ ლორთქიფანიძის დაბადებიდან 100 წლისთავს მიეძღვნა 2022 წლის 8-9 დეკემბერს.

Ia Jichonaia[3]
Sokhumi State University

Relations Between Georgia and the North Caucasus in the 11th Century[4]

Abstract. By the beginning of the XI century, feudal Georgia is a politically united state and from the socio-economic point of view, stands on a new level of development. In the 30s-50s of the 11th century, the following foreign-political tasks were faced by the state of Georgia: getting rid of the subjugation of the Byzantine Empire and gaining national sovereignty. Strengthening positions in the Caucasus and finding allies. The kingdom of Ovseti was considered one of such allies of Georgia. By this time, the political weight of the Kingdom of Ovseti had doubled. The powerful kingdom of Ovseti, which was formed in the 10th century, immediately became an active military-political force throughout the Caucasus and was accountable by the neighboring states including the Byzantine Empire, which, as a rule, always tried to use the people of Ovseti in accordance with its interests. Georgian kings of the XI century were trying to tie a military-political union with the Kingdom of Ossetia through a dynastic marriage and include it in the anti-Byzantine coalition. The military-political and dynastic relations of Georgian kings Giorgi I and Bagrat IV with the kingdom of Ovs are one of the bright pages in Georgia-North Caucasus relations.

Key words: Georgia, North Caucasus, XI century, socio-economic, political, relations,

ძირითადი კვლევა. XI საუკუნის დასაწყისისათვის ფეოდალური საქართველო პოლიტიკურად გაერთიანებული სახელმწიფო იყო, ხოლო სოციალურ-ეკონომიკური თვალსაზრისით კი განვითარების ახალ საფეხურზე იდგა. XI საუკუნის 30-50-იან წლებში საქართველოს სახელმწიფოს წინაშე შემდეგი საგარეო-პოლიტიკური ამოცანები იდგა: ბიზანტიის იმპერიის ქვეშევრდომობიდან თავის დაღწევა და ეროვნული სუვერენიტეტის მოპოვება. ბაგრატ III-ის გარდაცვალების შემდეგ სამეფო ტახტზე მისი ძე გიორგი I (1014-1027 წწ.) ავიდა, რომელმაც თავისი მეფობის უმთავრესი დრო ბიზანტიასთან ომს შეალია. მისი მიზანი იყო კავკასიაში პოზიციების განმტკიცება და მოკა-

---

[3] **Ia Jichonaia,** Doctor of History, Associate Professor of Sokhumi State University.

[4] The report was presented at the second international scientific conference "*Cultural Values of Abkhazia: Language, Literature, History, Social Sciences, Cultural Monuments*" organized by Sokhumi State University and the Korneli Kekelidze National Center for Manuscripts of Georgia, which was dedicated to the 100th anniversary of the birth of academician Mariam Lortkifanidze on 8-8-2022. on December 9.

ვშირეების მოძიება. ერთ-ერთ ასეთ მოკავშირედ საქართველოს ოვსეთის სამეფო მიაჩნდა. ამ დროისათვის ერთიორად გაიზარდა ოვსეთის სამეფოს პოლიტიკური წონა. ოვსეთის ძლიერი სამეფო, რომელიც X ს. დამდეგს წარმოიქმნა, მაშინვე იქცა აქტიურ სამხედრო-პოლიტიკურ ძალად მთელი კავკასიის მასშტაბით. მას ანგარიშს უწევდნენ მეზობელი სახელმწიფოები, მათ შორის, ბიზანტიის იმპერიაც, რომელიც, როგორც წესი, ყოველთვის ცდილობდა ოვსთა გამოყენებას თავისი ინტერესების შესაბამისად. თუ როგორ მოხერხებულად იყენებდა ბიზანტიის იმპერიის ხელისუფლება ალან-ოვსებს თავისი სამხედრო-პოლიტიკური გეგმების განხორციელებისას, ნათელ წარმოდგენას გვიქმნის VIII-IX საუკუნეების ბიზანტიელი ისტორიკოსი თეოფანე ჟამთააღმწერელი. მისი თქმით, VIII ს-ის დამდეგს იმპერატორმა იუსტინიანე II-მ კავკასიაში ცნობილი სამხედრო და სახელმწიფო მოღვაწე, ლეონ ისავრიელი გამოგზავნა, ალან-ოვსები მოისყიდა და მათი მეშვეობით დასაჯა იმპერიისგან გამდგარი აბაზგები (ჟამთააღმწერელი, 1941: 106-113).

მეფე გიორგი I ცდილობდა დინასტიური ქორწინებით სამხედრო-პოლიტიკური კავშირის შეკვრას ოვსეთის სამეფოსთან და ამით ოვსეთის სამეფოს ჩართვას ანტიბიზანტიურ კოალიციაში (პაპასქირი, 1990: 138-139). ისტორიოგრაფიაში მეტ-ნაკლებად მიჩქმალული იყო ცნობა გიორგი I-ის ე. წ. „მეორე ცოლის“ შესახებ. ერთ-ერთი პირველი ისტორიკოსი, რომელიც შეეხო ამ საკითხს, სულხან ბარათაშვილი (ბარათოვი) იყო, რომელმაც თავისი „საქართველოს ისტორიის მე-3 რვეულში საგანგებო მსჯელობა მიუძღვნა გიორგი I -ის „მეორე ცოლის“ საქმიანობას. ს. ბარათაშვილმა დემეტრე უფლისწულის სურვილი, დაუფლებოდა სამეფო ტახტს, ახსნა მისი დედის პატივმოყვარეობით (ბარათოვი, 1871: 57). ივ. ჯავახიშვილი თავის ნაშრომში საგანგებოდ შეეხო დემეტრე უფლისწულის დედის პიროვნებას და მიუთითა იმ ფაქტზე, რომ მისი სახელი - *ალდე* - იცის XI ს. ბიზანტიელმა ისტორიკოსმა გიორგი კედრენემ. თუმცა ჯავახიშვილმა ღიად დატოვა საკითხი იმის შესახებ, თუ რა ხასიათის ქორწინებასთან გვქონდა საქმე (ჯავახიშვილი, 1983: 140).

ოვსთა მეფის ასულ ალდეზე დაქორწინების ფაქტს შეეხო მკვლევარი ზ. პაპასქირი, რომელმაც წამოაყენა იდეა ამ ქორწინების სავარაუდო პოლიტიკური მოტივაციის შესახებ. „მატიანე ქართლისაის“ ცნობა ასახავს გარკვეული პოლიტიკური დატვირთვის მქონე რეალურ ისტორიულ ფაქტს. კერძოდ მასში მკვლევარი ხედავს საქართველოს მეფის მცდელობას დინასტიური ქორწინების საშუალებით დაუახლოვდეს ოვსეთის სამეფო სახლს და შეკრას მასთან სამხედრო-პოლიტიკური კავშირი ბიზანტიის იმპერიის წინააღმდეგ (პაპასქირი, 1983: 136-144).

გიორგი I-ს ამ ნაბიჯის გადადგმისაკენ უბიძგა იმ გარემოებამ, რომ მისი კანონიერი თანამეცხედრე დედოფალი მარიამი აღმოჩნდა ანტიბიზანტიური პოლიტიკური კურსის (რომლის გატარებასაც ყოველთვის ცდილობდა გიორგი მეფე) მოწინააღმდეგეთა ბანაკში. ამ პერიოდში საქართველოში ერთმანეთს დაუპირისპირდა ორი - პრობიზანტიური (მარიამ დედოფლისა და მელქისედეკ კათალიკოსის მეთაურობით) და ანტიბიზანტიური (გიორგი I-ის მომხრეთა დაჯგუფება). მეფესა და დედოფალს შორის არსებული პოლიტიკური განხეთქილება სავსებით შესაძლებელია, გახდა ოჯახური კონფლიქტის სავარაუდო მიზეზი, რამაც, ეტყობა აიძულა მეფე ეძებნა დედოფალ მარიამის შემცვლელი. მიუხედავად მცდელობისა საბოლოო ჯამში გიორგი I-მა ვერ მიაღწია დასახულ მიზანს - ოვსთა მეფის ასულზე დაქორწინების ოფიციალურ აღიარებას.

გიორგი I-ის პოლიტიკა გააგრძელა მისმა შვილმა ბაგრატ IV-მ, რომელიც ასევე ცდილობდა დინასტიური ქორწინების მეშვეობით ოვსთა სამეფოს ჩართვას ანტიბიზანტიურ კოალიციაში. „და შემდგომად მცირედისა ჟამისა მიიცვალა ელენე დედოფალი ქუთაისსა შინა, და შეირთო ცოლად ბაგრატ მეფემან ბორენა დედოფალი, ოვსთა მეფისა ასული, დაი დორღოლელისაი“ (ქართლის ცხოვრება, 280). ამავე დროს არაა გამორიცხული, რომ ოვსეთის მეფესთან კავშირი გამიზნული იყო „რანთა და კახთა“ სამეფოს წინააღმდეგაც (თოგოშვილი, 1958: 132-133).

„მატიანე ქართლისაიში“ მოგვეპოვება ცნობა ოვსეთ-კახეთს შორის ურთიერთობის უკიდურესად გამწვავების შესახებ, რასაც შედეგად მოჰყვა ჯერ ოვსთა მეფის ურდურესა, ხოლო შემდეგ კი „რანთა და კახთა“ მეფის კვირიკე III დიდის დაღუპვა: „ამას ჟამსა მოკლულ იყო დიდი კახთა მეფე კვირიკე ოვსისა ვისმე მონისა მიერ, რამეთუ წყობასა შინა ოვსთა მეფე ურდურე მოეკლა კვირიკე მეფესა, და მესისხლეობით მოიკლა კვირიკე მეფე ნადირობასა შინა ფიდრაზის გორთა ოვსისა მონისა მიერ“ (ქართლის ცხოვრება, 1969: 281). ე. ი. ამ ცნობაში აშკარად მოჩანს სამხედრო შეტაკების კვალი ოვსეთსა და კახეთს შორის. ისტორიოგრაფიაში, სავსებით სამართლიანადაა შენიშნული, რომ კახეთ-ოვსეთის კონფრონტაცია ინსპირირებული იყო „აფხაზთა“ და „ქართველთა“ მეფის ბაგრატ IV-ის მიერ და მიზნად ისახავდა კახეთის დასუსტებას, რომლის შემოერთებასაც ცდილობდა მაშინ (XI ს. 30-იანი წლები) გაერთიანებული საქართველოს მეფე (თოგოშვილი, 1958: 132-133).

საქართველო-ოსეთის ურთიერთობების ხასიათის გასარკვევად XI საუკუნეში უაღრესად საინტერესოა „მატიანე ქართლისაჲს“ ცნობა ქართველთა და ოვსთა განძაზე ერთობლივი გალაშქრებისა და ოვსთა მეფე დორღოლელის საქართველოში ვიზიტის შესახებ: „და გამოიყვანა დორღოლელი,

ოვსთა მეფე, ორმოცი ათასი ოვსითა, და წარუძღუანა ძე მისი გიორგი კურაპალატი და მოაოხრა განძა, და აღიღო ტყვე დანატყუენავი ურიცხვი, და გაგზავნა თავის სამეფოდ. ამის შემდგომად აღისურვილა დიდმან ოვსთა მეფემან დორღოლელმა და სიძისა მათისა ბაგრატისა სევასტოსისათვის და ითხოვა დარბაზობა ბაგრატისაგან. ხოლო ბაგრატ ნება სცა და მხიარულად წარმოემართა ოვსთა მეფე ყოვლითა თავადითა ოვსეთისათა, და აღმოვლო გზა აფხაზეთისა და მოვიდა ქუთაისს. და ნახა მათი დედოფალი, დედა გიორგი კურაპალატისა; რამეთუ გიორგი კურაპალატი გებული იყო უწინა, და მოიყვანეს ქართლს. და მეფე დგა ტინისხიდისა ჭალასა, ნადარბაზევს, და მოეგება წინა დიდითა ზეიმითა და პატივითა. შეკრბეს ერთგან კეზუთა ზედა. და იყო სიხარული და ხმა ბუკთა და დუმბულთა საშინელი და მიუწდომელი. და დაყვეს ერთგან დღე თორმეტი, და განისუენეს ყოველთა განსუენებითა და სიხარულითა. და მიზეზითა ზამთრისათა და გაისწრაფეს, და მისცა ნიჭი და საბოძვარი მეფესა და ყოველსა დიდებულსა ოვსეთისასა. გაგზავნა და წარვიდეს სიხარულითა“ (მატიანე ქართლისაჲ, 1959: 313). ეს ცნობა არის პირდაპირი მოწმობა საქართველო-ოვსეთის აქტიური სამხედრო-პოლიტიკური თანამშრომლობისა, რომელმაც ამ კონკრეტულ შემთხვევაში ნაყოფი გამოიღო. მაგრამ ეს არ იყო, უბრალოდ, სამხედრო-პოლიტიკური თანამშრომლობა, ანუ ერთობლივი ბრძოლა საერთო მტრის წინააღმდეგ. ამჯერად ბაგრატ IV-მ ოვსეთის სამეფო ჩართო საქართველოს სახელმწიფოს სამხედრო-პოლიტიკური გეგმების რეალიზაციაში, ე. ი. გამოიყვანა ოვსთა ძალა საკუთარი ინტერესების შესაბამისად.

„მატიანე ქართლისაის“ ავტორი პირდაპირ მიუთითებს, რომ განძაზე გალაშქრება იყო ბაგრატ IV-ის აქცია, სწორედ ის ითვლება ამ სამხედრო ოპერაციის ავტორად. მას მოჰყავს ოვსთა მეფე ლაშქრით, ის აგზავნის ამ ლაშქარს თავისი ძის - გიორგი კურაპალატის წინამძღოლობით. ე. ი. განძაში გაგზავნილი ლაშქრის სარდალი საქართველოს ტახტის მემკვიდრეა და მას ემორჩილება ოვსთა მეფე თავისი ლაშქრით. ყოველივე ეს კი აშკარად მიუთითებს, რომ ოვსთა მეფე დორღოლელი სულაც არ არის საქართველოს მეფის თანასწორუფლებიანი პარტნიორი. ის საქართველოს მეფის ვასალი უფროა. ამის არგუმენტად გამოდგება „მატიანის“ ავტორის გამოთქმები, რასაც ყურადღება მიაქცია ჯ. სტეფნაძემ: „გამოიყვანა დორღოლელი“, „ითხოვა დარბაზობა ბაგრატისაგან“, „ბაგრატ ნება სცა“, „მისცა ნიჭი და საბიძარი“ და ა. შ. საიდანაც აშკარად ჩანს ბაგრატ IV-ის სიუზერენული უფლებები თავის ცოლის ძმაზე, ოვსთა მეფეზე (სტეფნაძე, 1979: 115-116).

„მატიანე ქართლისაის“ ზემოთ მოტანილი ცნობის განხილვისას არ შეიძლება გვერდი ავუაროთ იმას, რომ განძიდან ოვსთა მეფე სამშობლოში

დაბრუნებულა და მხოლოდ შემდეგ უთხოვია დარბაზობის ნება საქართველოს მეფისგან და მას შემდეგ, რაც „ბაგრატ ნება სცა“, მოსულა ქუთაისში „აფხაზთა გზით“. გზა „აფხაზეთისა“, როგორც ჩრდილოეთ კავკასიასთან დამაკავშირებელი ერთ-ერთი სატრანსპორტო მაგისტრალი, სხვა ქართულ წყაროებშიც გვხვდება. ჯუანშერ ჯუანშერიანის „ცხოვრება ვახტანგ გორგასლისაში“ ვახტანგ გორგასალი ჩრდილოეთ კავკასიიდან „სპათა დიდითა ქართლისათა წარმოვიდა გზასა აფხაზეთისასა“ (ჯუანშერი, 1955: 157). ეს გზა უნდა იგულისხმებოდეს აგრეთვე იოანე საბანისძის თხზულებაში. მკვლევართა აზრით, „გზა აფხაზეთისა“ გადიოდა დღევანდელი ქლუხორის გადასასვლელზე და სწორედ, ამ გზით უკავშირდებოდნენ საქართველოს მეფეები ოვსეთს. გიორგი I-ისა და ბაგრატ IV-ის სამხედრო-პოლიტიკური და დინასტიური ურთიერთობები ოვსთა სამეფოსთან, ერთ-ერთი ნათელი ფურცელია საქართველო-ჩრდილო კავკასიის ურთიერთობებში.

გამოყენებული ლიტერატურა:

თოგოშვილი (1958) გიორგი თოგოშვილი. საქართველო-ოსეთის ურთიერთობის ისტორიიდან (უძველესი დროიდან XIV ს. დამ-დე). თბილისი;

მატიანე ქართლისაჲ (1959) მატიანე ქართლისაჲ, წიგნში: ქართლის ცხოვრება, ტ. I. ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით სიმონ ყაუხჩიშვილის მიერ, თბილისი;

პაპასქირი (1990). ზურაბ პაპასქირი. ერთიანი ქართული ფეოდალური სახელმწიფოს წარმოქმნა და საქართველოს საგარეო პოლიტიკური მდგომარეობის ზოგიერთი საკითხი. თბილისი;

ჟამთააღმწერელი (1941) თეოფანე ჟამთააღმწერელი. გეორგიკა. ბიზანტიელი მწერლის ცნობები საქართველოს შესახებ. ტექსტი ქართული თარგმანითურთ გამოსცა და განმარტებები დაურთო ს. ყაუხჩიშვილმა. ტ. IV. თბილისი;

სტეფნაძე (1974). ჯ. სტეფნაძე. საქართველოს პოლიტიკური ურთიერთობა კავკასიის ხალხებთან XII საუკუნეში. თბილისი;

ჯავახიშვილი (1983) ივ. ჯავახიშვილი. თხზულებანი, ტ. II. თხზულებანი თორმეტ ტომად, „მეცნიერება“, თბილისი;

ჯუანშერი (1955). ჯუანშერ ჯუანშერიანი. ცხოვრება ვახტანგ გორგასლისა, ქართლის ცხოვრება, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ. ტ. I. თბილისი;